საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10609/01
10/11/2020

10609-01-2-202011101642

ფიზიკურ პირ მანუჩარ ირემაძეს (პ/ნ 33001080411)
მის: წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტბეთი (ხადიკი)

ბატონო მანუჩარ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 28 ოქტომბრის N 16885 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტბეთში (ხადიკი) ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც სამინისტროს 2020 წლის 21 ოქტომბრის N9928/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში არ იყო მოცემული და დაზუსტებას საჭიროებდა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, რაც წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის მოცემული:

- ინფორმაცია დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ (რა სამშენებლო სამუშაოებია დაგეგმილი, მათ შორის იგეგმება თუ არა ტერიტორიის მობეტონება);
- ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე გრუნტზე ზემოქმედების და მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმის შესახებ (წლის განმავლობაში სამუშაო დღეების მითითებით);
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობდამჭერ ავზში შეგროვებული დაღვრილი საწვავის გატანა მოხდება სპეციალური მანქანა-დანადგარებით კანონით მოთხოვნილი წესების დაცვით სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე. დაზუსტებას საჭიროებს ნავთობდამჭერ ჭაში დაგროვილი საწვავისა (თხევადი ნარჩენის) და ლამის შემდგომი მართვის საკითხები, კერძოდ საქმიანობის განმახორციელებელი უზრუნველყოფს მის საბოლოო განთავსებას (დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საბოლოო განთავსების ტერიტორიის შესახებ) თუ შესაბამის ორგანიზაციებს გადასცემს.

ამასთან, როგორც N9928/01 წერილით გეცნობათ, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 85.21.22.499), ხოლო ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე მოწყობა დაუშვებელია. ასევე, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული ნაკვეთიდან დაახლოებით 227 მეტრში მდებარეობს წალკის (ხრამის) წყალსაცავი, დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება სკრინინგის განცხადება ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე